# ხელშეკრულება №

ქ. თბილისი 02 ივლისი 2007წ.

ერთის მხრივ, შ.პ.ს. „ავერსი-გეოფარმი", (შემდგომში „დამქირავებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ბ-ნ გია ჩიგოგიძის სახით, და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „თბილისი 94" (შემდგომში „გამქირავებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ვასაძის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გამქირავებელი ქირავნობის წესით გადასცემს დამქირავებელს, მის საკუთრებაში არსებულ არასაცხოვრებელ ფართს – 48კვ.მ.-ს, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, მეველეს ქ.№3-ში, (რეგისტრაციის №: ----------).

## 2. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

გამქირავებლის უფლებები და მოვალეობები:

2.1. გამქირავებელი ვალდებულია გადასცეს ფართი დამქირავებელს დამკვეთის მოთხოვნისთანავე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე, არაუგვიანეს 2007 წლის 01 სექტემბრისა.

2.2. გამქირავებელი 1.1. პუნქტში მითითებულ ფართთან ერთად გადასცემს დამქირავებელს ფართში არსებულ ინვენტარს, რაზედაც გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

2.3. გამქირავებელი სრულად აგებს პასუხს ფართის გადაცემამდე არსებულ ნებისმიერ კომუნალურ გადასახადზე.

2.4. გამქირავებელს უფლება აქვს მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქირის დროული გადახდა.

დამქირავებლის უფლებები და მოვალეობები:

2.5. დამქირავებელი ვალდებულია გადაუხადოს გამქირავებელს ქირა წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში და წესით.

2.6. დამქირავებელი ვალდებულია გაუფრთხილდეს და მოუაროს ქონებას, დაიცვას მისი ექსპლუატაციის წესები.

2.7. დამქირავებელი ვალდებულია ქირავნობის ურთიერთობის მთელი პერიოდის მანძილზე გადაიხადოს ყველა მიმდინარე კომუნალური გადასახადი, დაკავშირებული ფართის ექსპლუატაციასთან.

2.8. დამქირავებელს უფლება აქვს მოსთხოვოს გამქირავებელს მესამე პირებისაგან ხელშეშლის აკრძალვა, რომელიც დაკავშირებულია გაქირავებული ფართის ფლობასთან.

2.9. ქირავნობის ვადის ამოწურვის შემდეგ, დამქირავებელს აქვს ფართის ქირავნობის უპირატესი უფლება.

## 3. ქირა

3.1. ყოველთვიური ქირის ოდენობა შეადგენს 5000 (ხუთიათასი) აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში დღგ-ს ჩათვლით.

3.2. გადახდა იწარმოებს ყოველი მომდევნო თვის 05 რიცხვამდე, ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორების წესით, ეროვნულ ვალუტაში, თვის ბოლო დღეს არსებული ეროვნული ბანკის კურსით.

## 4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2 წლის ვადით. თუ ხელშეკრულების ვადის დასრულებამდე 6 თვით ადრე არცერთმა მხარემ არ განაცხადა წერილობით ხელშეკრულების შეწყვეტაზე, ხელშეკრულება გაგრძელებულად ჩაითვლება განუსაზღვრელი ვადით, რომლის შემდეგაც ხელშეკრულების

შეწყვეტა ცალმხრივად დაიშვება ერთ-ერთი მხარის მიერ 6 (ექვსი) თვით ადრე წერილობითი შეტყობინების განხორციელების შემთხვევაში.

5.2. ხელშეკრულების შეწყვეტას ადასტურებს და ასრულებს მხარეთა შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და საბოლოოდ ათავისუფლებს მათ ყოველგვარი ურთიერთვალდებულებებისაგან.

## 6. ფორს-მაჟორი

6.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ნაწილობრივი ან სრული შეუსრულებლობისათვის, თუკი ეს გამოწვეულია დაუძლეველი ძალით.

6.2. დაუძლეველ ძალად ითვლება შემდეგი გარემოებები: ომი, საომარი მოქმედებები, მობილიზაცია, მიწისძვრა, წყალდიდობა, ეპიდემიები, ბლოკადა, ხელისუფლების აქტები, რომლებიც უშუალოდ ახდენენ გავლენას მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

6.3. მხარე, რომლისთვისაც შეიქმნა ფორს-მაჟორული გარემოება, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს ზემოაღნიშნული გარემოების წარმოშობის სახის და მოქმედების შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ 3 დღის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში გარემოება არ ჩაითვლება პასუხისმგებლობიდან განმათავისუფლებელ გარემოებად.

6.4. იმ შემთხვევაში, თუ ფორს-მაჟორული გარემოება გაგრძელდება 3 თვეზე მეტხანს, მხარეები ვალდებულნი არიან მიიღონ გადაწყვეტილება წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ და შეატყობინონ მეორე მხარეს ამის შესახებ არა უგვიანეს 2 კვირით ადრე.

## 7. სხვა პირობები

7.1. ყველა შეტყობინება მხარეთა შორის უნდა განხორციელდეს წერილობით. შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება რეკვიზიტებში მითითებულ მისამართებზე ჩაბარების შემთხვევაში, პირადად ან დაზღვეული წერილის მეშვეობით.

7.2. ყველა დავა, წარმოშობილი წინამდებარე ხელშეკრულებიდან წყდება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობისას დავა განსახილველად გადაეცემა სასამართლოს.

7.3. ყველა იმ შემთხვევაში, რაც პირდაპირ არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით, მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

7.4. ყველა ცვლილება, დამატება წინამდებარე ხელშეკრულებაში ხორციელდება წერილობით, ძალაშია მხარეთა ხელმოწერის შემდგომ და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

7.5. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. მხარეებისათვის თითო ეგზემპლარი.

7.6. წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ მხარეებს შორის მანამდე არსებული ყველა სხვა შეთანხმება ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით კარგავს ძალას.

## 8. მხარეთა რეკვიზიტები, ხელმოწერები

**"დამქირავებელი"**

**შ.პ.ს. "ავერსი-გეოფარმი"**
მის: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №11
ტელ/ფაქსი: 99 67 71
ს/კ 203834075

დირექტორი:

______________ /გ. ჩიგოგიძე/

**"გამქირავებელი"**

შ.პ.ს. „თბილისი 94"
მის: [illegible] ქ. №3
TEL: 70 00 70
ს.ს. „საქართველოს ბანკი"
ა/ა: 400467669; ბანკის კოდი 220101502
570 44 44 97

დირექტორი:

______________ /დ. ვასაძე/

№74 ქონა

**დამატებითი შეთანხმება**

მხარეთა შორის 2007 წლის 02 აგვისტოს გაფორმებულ ხელშეკრულებაზე
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 01.17.12.04.060

ქ. თბილისი 03.09 ---------- 2015 წ.

ერთი მხრივ, **შ.პ.ს. „ავერსი-გეოფარმი“** (შემდგომში „დამქირავებელი“), წარმოდგენილი მისი მინდობილი პირის ნინო ბაბულაიძის (პ.ნ. 08001029475) სახით, და მეორე მხრივ **შ.პ.ს. „თბილისი 94“**(შემდგომში „გამქირავებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ვასაძის (პ.ნ. 01008005344) სახით, ვდებთ წინამდებარე დამატებით შეთანხმებას შემდეგზე:

1. წინამდებარე დამატებით შეთანხმებაზე ხელმოწერით მხარეები ვთანხმდებით, რომ 2015 წლის სექტემბრის და ოქტომბრის თვეებში, ფართით სარგებლობისთვის დამქირავებლის მიერ გამქირავებლისთვის გადასახდელი ყოველთვიური ქირა განისაზღვროს თვეში 7250.00 (შვიდი ათას ორას ორმოცდაათი) ლარით დღგ-ს ჩათვლით, ხოლო 2015 წლის ნოემბრის თვიდან დამქირავებლის მიერ გამქირავებლისთვის გადასახდელი ყოველთვიური ქირა განისაზღვროს თვეში 8700.00 (რვა ათას შვიდასი) ლარით დღგ-ს ჩათვლით. ქირის გადახდაც განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.
2. წინამდებარე დამატებითი შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და წარმოადგენს 2007 წლის 02 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
3. ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ყველა სხვა პუნქტი დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე დამატებითი შეთანხმება შედგენილია 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი გადაეცემა გამქირავებელს, მეორე დამქირავებელს, ხოლო მესამე საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

**5. მხარეთა რეკვიზიტები, ხელმოწერები**

| | |
|---|---|
| “დამქირავებელი” | “გამქირავებელი” |
| **შ.პ.ს. “ავერსი-გეოფარმი”**<br>მის: კოსტავას ქ. #11<br>ს/კ 203834075<br>ს.ს. “საქართველოს ბანკი”<br>ა.ა. GE62BG0000000126681500<br>ბ.კ. BAGAGE22<br>მინდობილი პირის პირადი #08001029475 | **შ.პ.ს. „თბილისი 94“**<br>მის.: მეველეს ქ. #3<br>ს/კ 206051323<br>ტელ: 577 47 77 97<br>ს.ს. “საქართველოს ბანკი”<br>ა/ა GE63BG0000000121307100<br>ბ/კ BAGAGE22<br>დირექტორის პირადი #01008005344 |
| მინდობილი პირი:<br>_____ /ნ. ბაბულაიძე/ | დირექტორი:<br>---------- /დ. ვასაძე/ |

74

**დამატებითი შეთანხმება**

მხარეთა შორის 2007 წლის 02 აგვისტოს გაფორმებულ ხელშეკრულებაზე
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 01.17.12.04.060

ქ. თბილისი 19 მარტი 2015 წ.

ერთი მხრივ, **შ.პ.ს. „ავერსი-გეოფარმი“** (შემდგომში „დამქირავებელი“), წარმოდგენილი მისი მინდობილი პირის ნათია ქააძის (პ.ნ. 01011073083) სახით, და მეორე მხრივ **შ.პ.ს. „თბილისი 94“**(შემდგომში „გამქირავებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ვასაძის (პ.ნ. 01008005344) სახით, ვდებთ წინამდებარე დამატებით შეთანხმებას შემდეგზე:

1. მხარეები ვადასტურებთ, რომ 2015 წლის 01 მარტიდან ავტომატურად გაგრძელდა მხარეთა შორის 2007 წლის 02 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 559 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად.
2. წინამდებარე დამატებით შეთანხმებაზე ხელმოწერით მხარეები ვთანხმდებით, რომ 2007 წლის 02 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდეს 2017 წლის 01 მარტამდე.
3. წინამდებარე დამატებით შეთანხმებაზე ხელმოწერით მხარეები ვთანხმდებით, რომ 2015 წლის მარტის, აპრილისა, მაისისა და ივნისის თვეებში ფართით სარგებლობისათვის დამქირავებლის მიერ გამქირავებლისთვის გადასახდელი ქირა განისაზღვროს თვეში 8700.00 (რვა ათას შვიდასი) ლარით დღგ-ს ჩათვლით, რომლის გადახდაც განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.
4. მხარეები ვთანხმდებით, რომ წინამდებარე დამატებითი შეთანხმების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე – 2015 წლის 30 ივნისამდე მხარეები დამატებით შეთანხმდებიან 2015 წლის 01 ივლისიდან გადასახდელი ყოველთვიური ქირის ოდენობაზე, რაზეც მხარეთა შორის გაფორმდება დამატებითი შეთანხმება.
5. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე დამატებითი შეთანხმების მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე – 2015 წლის 30 ივნისამდე მხარეთა შორის არ განხორციელდება დამატებითი შეთანხმების გაფორმება 2015 წლის 01 ივლისიდან გადასახდელი ყოველთვიური ქირის განსაზღვრასთან დაკავშირებით, მხარეები ვთანხმდებით, რომ 2015 წლის 01 ივლისიდან ყოველთვიური ქირა განისაზღვრება წინამდებარე დამატებითი შეთანხმებით განსაზღვრული ოდენობით - 8700.00 (რვა ათას შვიდასი) ლარით დღგ-ს ჩათვლით.
6. წინამდებარე დამატებითი შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და წარმოადგენს 2007 წლის 02 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
7. ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ყველა სხვა პუნქტი დარჩეს უცვლელი.
8. წინამდებარე დამატებითი შეთანხმება შედგენილია 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი გადაეცემა გამქირავებელს, მეორე დამქირავებელს, ხოლო მესამე საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

9. მხარეთა რეკვიზიტები, ხელმოწერები

“დამქირავებელი”

**შ.პ.ს. “ავერსი-გეოფარმი”**
მის: კოსტავას ქ. #11
ს/კ 203834075
ს.ს. “საქართველოს ბანკი”
ა.ა. GE62BG0000000126681500
ბ.კ. BAGAGE22
მინდობილი პირის პირადი #01011073083

მინდობილი პირი:

_____ /ნ. ქააძე/

“გამქირავებელი”

**შ.პ.ს. „თბილისი 94“**
მის.: მეველეს ქ. #3
ს/კ 206051323
ტელ: 577 47 77 97
ს.ს. “საქართველოს ბანკი”
ა/ა GE63BG0000000121307100
ბ/კ BAGAGE22
დირექტორის პირადი #01008005344

დირექტორი:

---------- /დ. ვასაძე/

# დამატებითი შეთანხმება №

მხარეთა შორის 2007 წლის 02 აგვისტოს გაფორმებულ ხელშეკრულებაზე
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 01.17.12.04.060

ქ. თბილისი 04 მარტი 2014 წ.

ერთი მხრივ, **შ.პ.ს. „ავერსი-გეოფარმი“** (შემდგომში „დამქირავებელი“), წარმოდგენილი მისი მინდობილი პირის ნინო ბაბულაიძის (მინდობილობა გაცემულია 2013 წლის 20 სექტემბერს, №1098) სახით, და მეორე მხრივ **შ.პ.ს. „თბილისი 94“** (შემდგომში „გამქირავებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ვასაძის (პ.ნ. 01008005344) სახით, ვდებთ წინამდებარე დამატებით შეთანხმებას შემდეგზე:

1. გაგრძელდეს მხარეთა შორის 2007 წლის 02 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2015 წლის 01 მარტამდე.
2. წინამდებარე დამატებითი შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და წარმოადგენს 2007 წლის 02 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
3. ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ყველა სხვა პუნქტი დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე დამატებითი შეთანხმება შედგენილია 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი გადაეცემა გამქირავებელს, მეორე დამქირავებელს, ხოლო მესამე საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

5. **მხარეთა რეკვიზიტები, ხელმოწერები**

**“დამქირავებელი”**

**შ.პ.ს. “ავერსი-გეოფარმი”**
მის: კოსტავას ქ. №11
ს/კ 203834075
ს.ს. “საქართველოს ბანკი”
ა.ა. GE62BG0000000126681500
ბ.კ. BAGAGE22
მინდობილი პირის
პირადი №08001029475

მინდობილი პირი:

_____ /ნ. ბაბულაიძე/

**“გამქირავებელი”**

**შ.პ.ს. „თბილისი 94“**
მის.: მეველეს ქ. №3
ს/კ 206051323
ტელ: 577 47 77 97
ს.ს. “საქართველოს ბანკი”
ა/ა GE63BG0000000121307100
ბ/კ BAGAGE22
დირექტორის პირადი №01008005344

დირექტორი:

---------- /დ. ვასაძე/

# დამატებითი შეთანხმება №

მხარეთა შორის 2007 წლის 02 აგვისტოს გაფორმებულ ხელშეკრულებაზე
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 01.17.12.04.060

ქ. თბილისი 01 მარტი 2012 წ.

ერთის მხრივ, შ.პ.ს. **„ავერსი-გეოფარმი“** (შემდგომში „დამქირავებელი“), წარმოდგენილი მინდობილი პირის ნინო ბაბულაიძის (მინდობილობა გაცემული 2012 წლის 01 მარტს № 359/1) სახით, და მეორეს მხრივ შ.პ.ს. **„თბილისი 94“** (შემდგომში „გამქირავებელი“), წარმოდგენილი დირექტორის დავით ვასაძის სახით, ვდებთ წინამდებარე დამატებით შეთანხმებას შემდეგზე:

1. მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ შეიცვალოს მხარეთა შორის 2007 წლის 02 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული ყოველთვიური ქირის ოდენობა და 2012 წლის 01 მარტიდან განისაზღვროს 4500.00 (ოთხი ათას ხუთასი) აშშ დოლარის ექვივალენტური თანხით ლარში, გადახდის დღისთვის არსებული ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის შესაბამისად.
2. გაგრძელდეს მხარეთა შორის 2007 წლის 02 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2014 წლის 01 მარტამდე.
3. წინამდებარე დამატებითი შეთანხმება ძალაში შედის 2012 წლის 01 მარტიდან, წარმოადგენს ზემოაღნიშნული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და ძალაშია მისი მოქმედების ვადის დასრულებამდე.
4. ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ყველა სხვა პუნქტი დარჩეს უცვლელი.
5. წინამდებარე დამატებითი შეთანხმება შედგენილია 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი გადაეცემა გამქირავებელს, მეორე დამქირავებელს, ხოლო მესამე საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

6. მხარეთა რეკვიზიტები, ხელმოწერები

**“დამქირავებელი”**

შ.პ.ს. “ავერსი-გეოფარმი”
მის: კოსტავას ქ. №11
ს/კ 203834075
დირექტორის პირადი №01024017384
მინდობილი პირის
პირადი №08001029475

მინდობილი პირი:

_____ /ნ. ბაბულაიძე/

**“გამქირავებელი”**

შ.პ.ს. „თბილისი 94“
მის.: მეველეს ქ. №3
ს/კ 206051323
ს.ს. “საქართველოს ბანკი”
ა/ა 400467669
ბ/კ BAGAGE22
დირექტორის პირადი №01008005344

დირექტორი:

_____ /დ. ვასაძე/

# დამატებითი შეთანხმება №

მხარეთა შორის 2007 წლის 02 აგვისტოს გაფორმებულ ხელშეკრულებაზე
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 01.17.12.04.060

ქ. თბილისი 23 მარტი 2011 წ.

ერთის მხრივ, **შ.პ.ს. „ავერსი-გეოფარმი“** (შემდგომში „დამქირავებელი“), წარმოდგენილი მისი მინდობილი პირის მაია აფციაურის სახით (მინდობილობა გაცემული 2011 წლის 14 მარტს №299), და მეორეს მხრივ **შ.პ.ს. „თბილისი 94“** (შემდგომში „გამქირავებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ვასაძის სახით, ვდებთ წინამდებარე დამატებით შეთანხმებას შემდეგზე:

1. მხარეთა შორის 2007 წლის 02 აგვისტოს გაფორმებულ ხელშეკრულებას დაემატოს პუნქტი 2.4.1 შემდეგი რედაქციით:
   - *2.4.1. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში გამქირავებელი ვალდებულია აცნობოს დამქირავებელს ყველა სახის ცვლილების შესახებ რაც დაკავშირებულია დაქირავებულ ფართთან ან გამქირავებლის სამართლებრივ სტატუტთან (მათ შორის ინფორმაცია ფართის გასხვისების, ჩუქებით გადაცემის, ფართის მისამართის შეცვლის, გამქირავებლის სამართლებრივი სტატუსის შეცვლის, რეკვიზიტებში ცვლილების განხორციელების და ა.შ. შესახებ) კონკრეტული ცვლილების განხორციელებამდე ან ცვლილების განხორციელებისთანავე დაუყოვნებლივ. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ცვლილებების შესახებ შეუტყობინებლობის ან არადროულად შეტყობინების შედეგად დამქირავებელს მიადგება მატერიალური ზიანი/ზარალი, დამქირავებელი უფლებამოსილია მოითხოვოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში გამქირავებელი ვალდებულია აუნაზღაუროს დამქირავებელს მიყენებული ზარალი/ზიანი სრული მოცულობით.*
2. ზემოაღნიშნული ხელშეკრულების 2.8. და 2.9. პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
3. ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებას დაემატოს 2.10, 2.11, 2.12 და 2.13 პუნქტები შემდეგი რედაქციით:
   - *2.10. დამქირავებელი ვალდებულია ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში დაქირავებული ფართი დაუბრუნოს გამქირავებელს.*
   - *2.11. ფართის გამქირავებლის მიერ გასხვისების შემთხვევაში, დამქირავებელს აქვს ფართის ყიდვის უპირატესი უფლება.*
   - *2.12. დამქირავებელს უფლება აქვს გამქირავებელთან შეთანხმებით ყველა სახის სარემონტო სამუშაოები განახორციელოს დაქირავებულ ფართში.*
   - *2.13. დამქირავებელს უფლება აქვს გამქირავებელთან შეთანხმებით დაქირავებული ფართი ნაწილობრივ ნებისმიერ მესამე პირს გადასცეს ქვექირავნობის წერით.*
4. ზემოაღნიშნული ხელშეკრულებას დაემატოს 3.3. პუნქტი შემდეგი რედაქციით:
   - *3.3. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქირა მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რაც კი შეიძლება წარმოეშვას გამქირავებელს ხელშეკრულების საგნის (ფართის) გაქირავებასთან დაკავშირებით, მათ შორის გამქირავებლის მიერ სახელმწიფოს სასარგებლოდ გადასახდელი დ.ღ.გ-ც.”*
5. ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებას დაემატოს პუნქტი 4.2. შემდეგი რედაქციით:
   - *4.2. იმ შემთხვევაში, თუ გამქირავებელი მხარეთა შორის შეთანხმებული ხელშეკრულების შეწყვეტის პირობების დარღვევით (წინამდებარე დამატებითი შეთანხმების 6 პუნქტი (ხელშეკრულების 5.2 პუნქტი) დარღვევით განახორციელებს ხელშეკრულების შეწყვეტას, დამქირავებელი უფლებას იტოვებს მოითხოვოს გამქირავებლისაგან ჯარიმის გადახდა, ხოლო ასეთ შემთხვევაში, გამქირავებელი ვალდებულია გადაუხადოს დამქირავებელს ჯარიმა სამი თვის ქირის ოდენობით.*
6. ზემოაღნიშნული ხელშეკრულების მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   - *5.2. ხელშეკრულების მოქმედება შესაძლებელია ვადამდე შეწყდეს შემდეგ შემთხვევებში:*
     *– დამქირავებლის მიერ გამქირავებლის წინასწარ 2 (ორი) თვით ადრე წერილობითი ფორმით შეტყობინების შემთხვევაში.*

*– გამქირავებლის მიერ დამქირავებლის წინასწარ 6 (ექვსი) თვით ადრე წერილობითი ფორმით შეტყობინების შემთხვევაში.*

7. წინამდებარე დამატებითი შეთანხმება ძალაში შედის ხელმოწერის თანავე და ძალაშია ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულების მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში.
8. წინამდებარე დამატებითი შეთანხმება შედგენილია 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი გადაეცემა გამქირავებელს, მეორე დამქირავებელს, ხოლო მესამე საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.
9. ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ყველა სხვა პუნქტი დარჩეს უცვლელი.

10. მხარეთა რეკვიზიტები, ხელმოწერები

"დამქირავებელი"

შ.პ.ს. "ავერსი-გეოფარმი"
მის: კოსტავას ქ. №11
ს/კ 203834075
დირექტორის პირადი №01024017384
მინდობილი პირის
პირადი №01018001295

მინდობილი პირი:

_____ /მ. აფციაური/

"გამქირავებელი"

შ.პ.ს. „თბილისი 94"
მის.: მეველეს ქ. №3
ს/კ 206051323
ს.ს. "საქართველოს ბანკი"
ა/ა 400467669
ბ/კ BAGAGE22
დირექტორის პირადი №01008005344

დირექტორი:

---------- /დ. ვასაძე/

**დამატებითი შეთანხმება**

მხარეთა შორის 2007 წლის 02 აგვისტოს გაფორმებულ ხელშეკრულებაზე
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 01.17.12.04.060

ქ. თბილისი 03.09 ---------- 2015 წ.

ერთი მხრივ, **შ.პ.ს. „ავერსი-გეოფარმი“** (შემდგომში „დამქირავებელი“), წარმოდგენილი მისი მინდობილი პირის ნინო ბაბულაიძის (პ.ნ. 08001029475) სახით, და მეორე მხრივ **შ.პ.ს. „თბილისი 94“**(შემდგომში „გამქირავებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ვასაძის (პ.ნ. 01008005344) სახით, ვდებთ წინამდებარე დამატებით შეთანხმებას შემდეგზე:

1. წინამდებარე დამატებით შეთანხმებაზე ხელმოწერით მხარეები ვთანხმდებით, რომ 2015 წლის სექტემბრის და ოქტომბრის თვეებში, ფართით სარგებლობისთვის დამქირავებლის მიერ გამქირავებლისთვის გადასახდელი ყოველთვიური ქირა განისაზღვროს თვეში 7250.00 (შვიდი ათას ორას ორმოცდაათი) ლარით დღგ-ს ჩათვლით, ხოლო 2015 წლის ნოემბრის თვიდან დამქირავებლის მიერ გამქირავებლისთვის გადასახდელი ყოველთვიური ქირა განისაზღვროს თვეში 8700.00 (რვა ათას შვიდასი) ლარით დღგ-ს ჩათვლით. ქირის გადახდაც განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.
2. წინამდებარე დამატებითი შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და წარმოადგენს 2007 წლის 02 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
3. ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ყველა სხვა პუნქტი დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე დამატებითი შეთანხმება შედგენილია 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი გადაეცემა გამქირავებელს, მეორე დამქირავებელს, ხოლო მესამე საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

**5. მხარეთა რეკვიზიტები, ხელმოწერები**

| | |
|---|---|
| “დამქირავებელი” | “გამქირავებელი” |
| **შ.პ.ს. “ავერსი-გეოფარმი”** | **შ.პ.ს. „თბილისი 94“** |
| მის: კოსტავას ქ. #11 | მის.: მეველეს ქ. #3 |
| ს/კ 203834075 | ს/კ 206051323 |
| ს.ს. “საქართველოს ბანკი” | ტელ: 577 47 77 97 |
| ა.ა. GE62BG0000000126681500 | ს.ს. “საქართველოს ბანკი” |
| ბ.კ. BAGAGE22 | ა/ა GE63BG0000000121307100 |
| მინდობილი პირის პირადი #08001029475 | ბ/კ BAGAGE22 |
| | დირექტორის პირადი #01008005344 |
| მინდობილი პირი: | დირექტორი: |
| _____ /ნ. ბაბულაიძე/ | ---------- /დ. ვასაძე/ |

**დამატებითი შეთანხმება**

მხარეთა შორის 2007 წლის 02 აგვისტოს გაფორმებულ ხელშეკრულებაზე
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 01.17.12.04.060

ქ. თბილისი 01 აგვისტო 2016 წ.

ერთი მხრივ, **შ.პ.ს. „ავერსი-გეოფარმი“** (შემდგომში „დამქირავებელი“), წარმოდგენილი მისი მინდობილი პირის ნათია ქააძის (პ/ნ 01011073083) სახით, და მეორე მხრივ **შ.პ.ს. „თბილისი 94“** (შემდგომში „გამქირავებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ვასაძის (პ.ნ. 01008005344) სახით, ვდებთ წინამდებარე დამატებით შეთანხმებას შემდეგზე:

1. ვინაიდან, 2016 წლის 04 იანვარს განხორციელდა რეორგანიზაცია და შპს „ავერსი–გეოფარმი“ მიუერთდა მის 100 % წილის მფლობელ საწარმოს **შპს „ავერსი–ფარმა“–ს (ს.კ. 211386695)** და 2016 წლის 04 იანვრიდან შპს „ავერსი–ფარმა“ წარმოადგენს შპს „ავერსი–გეოფარმი“–ს სამართალმემკვიდრეს (რეორგანიზაციის რეგისტრაციის განცხადების ნომერი B16000344) მხარეები ვთანხმდებით, რომ 2007წლის 02 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულების დამქირავებელი მხარე 2016 წლის 04 იანვრიდან არის შპს „ავერსი–ფარმა“;
2. წინამდებარე დამატებით შეთანხმებაზე ხელმოწერით მხარეები ვთანხმდებით, რომ 2016 წლის აგვისტოს თვიდან (01 აგვისტოდან) ფართით სარგებლობისათვის დამქირავებლის მიერ გამქირავებლისთვის გადასახდელი ქირა განისაზღვროს თვეში 8000.00 (რვა ათასი) ლარით დღგ-ს ჩათვლით, რომლის გადახდაც განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.
3. წინამდებარე დამატებითი შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ დამოწმების მომენტიდან და წარმოადგენს 2007 წლის 02 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
4. ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ყველა სხვა პუნქტი დარჩეს უცვლელი.
5. წინამდებარე დამატებითი შეთანხმება შედგენილია 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი გადაეცემა გამქირავებელს, მეორე დამქირავებელს, ხოლო მესამე საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

## 6. მხარეთა რეკვიზიტები, ხელმოწერები

“დამქირავებელი”

**შ.პ.ს. “ავერსი-ფარმა”**
მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. #148/2
ს/კ 211386695
ს.ს. „საქართველოს ბანკი“-ს
ბ/კ BAGAGE22
GE06BG0000000122932100
მინდობილი პირის პ/ნ: 01011073083

მინდობილი პირი:

_____ /ნ.ქააძე/

“გამქირავებელი”

**შ.პ.ს. „თბილისი 94“**
მის.: მეველეს ქ. #3
ს/კ 206051323
ტელ: 577 47 77 97
ს.ს. “საქართველოს ბანკი”
ა/ა GE63BG0000000121307100
ბ/კ BAGAGE22
დირექტორის პირადი #01008005344

დირექტორი:

---------- /დ. ვასაძე/

**დამატებითი შეთანხმება**

მხარეთა შორის 2007 წლის 02 აგვისტოს გაფორმებულ ხელშეკრულებაზე
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 01.17.12.04.060

ქ. თბილისი 19 ივლისი 2016 წ.

ერთი მხრივ, **შპს „ავერსი-ფარმა“** ს.ნ. 211386695 (შემდგომში „დამქირავებელი“), წარმოდგენილი მისი მინდობილი პირის ნათია ქააძის (პ/ნ 01011073083) სახით, და მეორე მხრივ **შპს „თბილისი 94“** ს.ნ. 206051323 (შემდგომში „გამქირავებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ვასაძის (პ.ნ. 01008005344) სახით, ვდებთ წინამდებარე დამატებით შეთანხმებას შემდეგზე:

1. მხარეები ვადასტურებთ, რომ 2017 წლის 01 მარტიდან ავტომატურად გაგრძელდა მხარეთა შორის 2007 წლის 02 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 559 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად.
2. წინამდებარე დამატებით შეთანხმებაზე ხელმოწერით მხარეები ვთანხმდებით, რომ 2007 წლის 02 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდეს ავტომატურად განუსაზღვრელი ვადით.
3. წინამდებარე დამატებით შეთანხმებაზე ხელმოწერით მხარეები ვთანხმდებით, რომ 2017 წლის ივლისის თვიდან (01 ივლისიდან) ფართით სარგებლობისათვის დამქირავებლის მიერ გამქირავებლისთვის გადასახდელი ქირა განისაზღვროს თვეში 7000.00 (შვიდი ათასი) ლარით დღგ-ს ჩათვლით, რომლის გადახდაც განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით.
4. მხარეები ვთანხმდებით, რომ შეიცვალოს ზემოაღნიშნული ხელშეკრულების 5.2 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   5.2 ხელშეკრულების მოქმედება შესაძლებელია ვადამდე შეწყდეს შემდეგ შემთხვევებში:

   ა) დამქირავებლის მიერ გამქირავებლის წინასწარ 2 (ორი) თვით ადრე გაგზავნილი წინასწარი წერილობითი გაფრთხილების შემდეგ. ვადაზე ადრე ცალმხრივად შეწყდება ხელშეკრულება დანარჩენ პერიოდზე ქირის გადახდის ვალდებულებისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადის დარჩენილ პერიოდზე სხვა, სანაცვლო დამქირავბლის შეთავაზების ვალდებულების გარეშე.

   ბ) გამქირავებლის მიერ დამქირავებლის წინასწარ 4 (ოთხი) თვით ადრე წერილობითი ფორმით შეტყობინების შემთხვევაში.
5. წინამდებარე დამატებითი შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ დამოწმების მომენტიდან და წარმოადგენს 2007 წლის 02 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
6. ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ყველა სხვა პუნქტი დარჩეს უცვლელი.
7. წინამდებარე დამატებითი შეთანხმება შედგენილია 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი გადაეცემა გამქირავებელს, მეორე დამქირავებელს, ხოლო მესამე საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

**8. მხარეთა რეკვიზიტები, ხელმოწერები**

“დამქირავებელი”

**შ.პ.ს. “ავერსი-ფარმა”**
მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. #148/2
ს/კ 211386695
ს.ს. „საქართველოს ბანკი“-ს
ბ/კ BAGAGE22
GE06BG0000000122932100
მინდობილი პირის პ/ნ: 01011073083

მინდობილი პირი:

_____ /ნ.ქააძე/

“გამქირავებელი”

**შ.პ.ს. „თბილისი 94“**
მის.: მეველეს ქ. #3
ს/კ 206051323
ტელ: 577 47 77 97
ს.ს. “საქართველოს ბანკი”
ა/ა GE63BG0000000121307100
ბ/კ BAGAGE22
დირექტორის პირადი #01008005344

დირექტორი:

---------- /დ. ვასაძე/